საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 02

2011 წ. „19" 05

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების - სს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში" - საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების - სს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში" - საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, საგანმანათლებლო პროგრამის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 17 მაისის სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების - სს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში" - საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 5 წლის ვადით.

2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 17 მაისის №1 სხდომის ოქმის მე-2 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

ნინო ხოფერია
საბჭოს თავმჯდომარე

დიმიტრი ალავიძე
საბჭოს მდივანი